

# საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი

27 სექტემბერი 2019 წ.

## ბრძანება №01-08/53

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადებისა და ვადების დადგენის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, „ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესის“ პირველი მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიების მოსაპოვებლად:

**საუნივერსიტეტო სტიპენდია:**

- ა. აბუსერისძე ტბელის სახელობის - 1 ადგილი
- ბ. ფრიდონ ხალვაშის სახელობის - 1 ადგილი

**საფაკულტეტო სტიპენდია:**

ა. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე:

- იუსუფ კობალაძის სახელობის - 1 ადგილი
- დავით კაკაბაძის სახელობის - 1 ადგილი

ბ. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე:

- ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის - 1 ადგილი
- სულიკო ჟღენტის სახელობის - 1 ადგილი

გ. მუსიკის ფაკულტეტზე - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის - 1 ადგილი

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადების წარდგენის უფლება აქვს ბხსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან), თუ:

ა) საუნივერსიტეტო სტიპენდიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 91 და მეტი ქულა, გამონაკლის შემთხვევაში დისციპლინების 1/4 -ში აქვს შეფასება 81 და მეტი ქულა.

**ბ) საფაკულტეტო სტიპენდიის მისაღებად:**

- სახელობითი სტიპენდიის კანდიდატს კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის დისციპლინებში აქვს 81 და მეტი ქულა; ყველა დანარჩენ დისციპლინაში კი აქვს შეფასება 71 ქულაზე მეტი.

- შესაბამისი სპეციალობის მიხედვით აქვს შემოქმედებითი აქტივობა და წარმატებები (მონაწილეობა გამოფენებში, კონცერტებში, კონკურსებში, სპექტაკლები და ა.შ.)

თეორიული მიმართულებით:

ა) სახელობითი სტიპენდიის კანდიდატს კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 91 და მეტი ქულა, ან, გამონაკლის შემთხვევაში, დისციპლინების 1/4 -ში აქვს შეფასება 81 და მეტი ქულა.

ბ) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა. შ. მონაწილე და აქვს მიღწევები.

**3. საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:**

ა) განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, (დანართი 1)

ბ) სასწავლო-შემოქმედებით/სამეცნიერო ავტობიოგრაფიას (CV). (დანართი 2)

გ) სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის, შემოქმედებითი წარმატებების და სხვა ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომ(ებ)ის, სიგელ(ებ)ის, სერთიფიკატის, პროგრამების და სხვა.

დ) პირადობის მოწმობის ასლს;

ე) სტუდენტის აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი სასწავლო ბარათის ასლი ფაკულტეტის დეკანის მიერ დამოწმებულს;

ვ) სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომ(ებ)ის დედანს ან დამოწმებულ ასლს;

ზ) არანაკლებ ერთ რეკომენდაციას პროფესორისაგან, რომელიც კარგად იცნობს პრეტენდენტის სასწავლო-შემოქმედებით და სამეცნიერო საქმიანობას.

**4. საკონკურსო დოკუმენტაცია საკონკურსო კომისიის მიერ არ განიხილება (არ შეფასდება) შემდეგ შემთხვევებში:**

ა) თუ კონკურსანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია;

ბ) თუ კონკურსანტის მიერ ინფორმაცია/დოკუმენტები წარმოდგენილი არ არის შესაბამისი ფორმის დაცვით (ხელმოწერა, ბეჭედი, ნოტარიული დამოწმება და ა.შ.);

გ) თუ კონკურსანტს აქვს ფინანსური დავალიანება;

დ) „წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესი“-ით აკრძალულ სხვა შემთხვევებში.

5. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს სტიპენდიის მინიჭების კომისიაში (ზ.გორგილაძის/ვ.ფშაველას ქ.№19/32, ოთახი №103) 2019 წლის 07 ოქტომბრიდან 08 ოქტომბრის ჩათვლით, 10 საათიდან - 16 საათამდე.

6. კონკურსანტთა განცხადებების განხილვა იწარმოებს 2019 წლის 09 ოქტომბერს, საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2019 წლის 11 ოქტომბრისა.

7. ბრძანება გამოქვეყნდეს ხელოვნების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე;

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი

მაია ჭიჭილეიშვილი